უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 27

2013 წ. "10" 10

ქ.თბილისი

შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

საბჭო მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებზე და აღნიშნავს შემდეგს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ[1]" პუნქტის, 56[1] პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად.

3. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.

4. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო მხედველობაში არ იღებს ავტორიზაციის მაძიებლის იმ დოკუმენტს, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26-ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს.

საბჭოს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოკვლეული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. საბჭომ მოისმინა, როგორც ავტორიზაციის ექსპერტების შეფასებები, აგრეთვე - ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლების ზეპირი ახსნა-განმარტებები დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით. ამასთან, საბჭოს სხდომის ფორმატში, ადგილზე იქნა გადამოწმებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტიცებულებები.

საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს სხდომაზე წარმოადგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების, აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გამოარკვია, რომ შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო პროგრამების და ადამიანური რესურსის სტანდარტებს.

საბჭო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ იმ ხარვეზებს, რომლებიც ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ვერ იქნა არგუმენტირებულად გაბათილებული. კერძოდ:

1. საბჭომ მიიჩნია, რომ 1.2 პუნქტში (სხდომის ოქმი №4 – 10.10.2013) დაფიქსირებული შენიშვნა არ განეკუთვნებოდა ტექნიკური ხასიათის შენიშვნათა კატეგორიას. საბჭომ არ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელთა არგუმენტაცია, რადგან მიიჩნია, რომ შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულების წარმომადგენლებს თავად უნდა მოეხდინათ ექსპერტთათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიწოდების უზრუნველყოფა, რადგან ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობს იმ ინფორმაციით, რომელსაც მას დაწესებულება აწვდის.

2. საბჭომ არსებითად მიიჩნია 1.3 პუნქტში (სხდომის ოქმი №4 – 10.10.2013) დაფიქსირებული ხარვეზი. საბჭომ არ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელთა არგუმენტაცია, რომლის თანახმად, ხარვეზი გამოწვეული იყო მოქმედი პროგრამის

ნაცვლად, პროგრამის სამუშაო ვერსიის შეცდომით ამობეჭდით. ავტორიზაციასთან დაკავშირებული წარმოება იწყება თავად დაწესებულების სურვილით, შესაბამისად, საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენით, დაწესებულება აფიქსირებს ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებისათვის მზობას, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ამობეჭდილი და უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო წესით დამოწმებული საგანმანათლებლო პროგრამა. მოცემულ შემთხვევაში, საბჭომ გაიზიარა ექსპერტის შეფასება პროგრამის არათანმიმდევრულ სტრუქტურასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლს 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორზაციის დებულების“ მე–9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას.

3. საბჭომ გაიზიარა 1.1 პუნქტში (სხდომის ოქმი №4 – 10.10.2013) დაფიქსირებული შენიშვნა და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სილაბუსების გამოყენება საკუთარ საგანმანათლებლო პროგრამაში ეწინააღმდეგებოდა, თავად, ავტორიზაციის არსს, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო სივრცეში მხოლოდ ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობის დაშვებას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაციის, შესაბამისად კი, საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსების) შექმნის უნარის მქონე აკადემიური პერსონალი. საბჭომ ჩათვალა, რომ დაწესებულების მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სილაბუსების გამოყენება იძლეოდა გონივრული ეჭვის საფუძველს - ასეთი საჭიროება გამოწვეული იყო იმით, რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალი მოკლებული იყო შესაძლებლობას თავად შეექმნა საგანმანათლებლო პროგრამები. ამასთან, საბჭომ საყურადღებოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდეგაც, დაწესებულებას არ განუხორციელებია არანაირი ქმედება/რეაგირება ამ ფაქტთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლს 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორზაციის დებულების“ მე–9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

4. საბჭომ არსებითად მიიჩნია 2.1, 2.2, 2.3 და 2.4 პუნქტებში (სხდომის ოქმი №4 – 10.10.2013) დაფიქსირებული შენიშვნები. საბჭომ არ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელთა არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ ხარისხის მენეჯერის მიერ გაწეული რეკომენდაციების შესაბამისად, გადამუშავებული სილაბუსების არსებობის გამო, აზრი დაკარგა ძველი სილაბუსების არსებობამ, რომლებიც თავდაპირველად წარმოდგენილ იქნა საკონკურსო განაცხადთან ერთად. საბჭო აღნიშნავს, რომ სილაბუსების გადამუშავების აუცილებლობის არსებობა, რასაც არც დაწესებულების წარმომადგენელი უარყოფს და რაც ფაქტობრივადაც განხორციელდა, მიუთითებს, სწორედ, საკონკურსოდ წარმოდგენილი სილაბუსების ნაკლოვანებაზე. შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს

კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404996518) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №4 სხდომის ოქმის მე-7 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე